

შპს „ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404424574

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია	3
სააღრიცხვო პოლიტიკა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

ზოგადი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“-ს (ს/კ:404424574) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

შპს „ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“ რეგისტრირებულია 2012 წლის 19 ივნისს (დამატებითი ღირებულების გადამხდელად 2014 წლის 19 მაისს). კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზურაბ წერეთელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამუზეუმო საქმიანობა. მუზეუმში დამთვალიერებელთა მიღება, მუზეუმში ფართის იჯარით გაცემა გამოფენებისათვის და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ. №27

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალებული, ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მეექვსე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამუზეუმო საქმიანობა. მუზეუმში დამთვალიერებელთა მიღება, მუზეუმის საკუთრებაში არსებული ფართის იჯარით გაცემა გამოფენებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: კომპანია იყენებს დარიცხვის მეთოდს და არის ფუნქციონირებადი საწარმო.

გარდა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი :

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგება– ეს არის გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	4693	79069	15574
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	62471	62471	93671
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	7370	2988
მარაგები		0	0	0
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		0	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0

სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	3	4600678	4617579	4644747
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		4667842	4766489	4756980
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	4	14301	36189	25910
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	5	3700	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		18001	36189	25910
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	6	4649841	4730300	4731070
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		4649841	4730300	4731070

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4667842	4766489	4756980
---	--	---------	---------	---------

დირექტორი:

კონსტანტინე ქორქია ----- //

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ნეტამონაგები		298006	204314
საქონლს გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	7	298006	204314
სამშენებლოხელშეკრულებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება		0	0
საწყისი მარგები		0	0
მარგების შესყიდვა		0	0
გადმუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოომარგები		0	0
საერთომოგება		298006	204314
სხვა საოპერაციოშემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	-432067	-338188
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	9	-62409	-60672
საპროცენტოშემოსავალი		0	0
საპროცენტოხარჯი		0	0
ოჯრის ხარჯი		0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-302570	-381230
სულსაოპერაციოხარჯები		-797046	-780090
საოპერაციომოგება		-499040	-575776
გაუფსურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფსურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარგების გაუფსურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფსურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0

წმინდა შემოსულობა / (დნაკარგი) უზბოური ვალუტითა ჰქრზიდნ დ სავალუტოსახსრების გადფსებიდნ	11	-6390	-16396
მიღბულ დვიდნდბი		0	0
სხვა არსაზერციომემსავალ / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზრლ) მოგების გადსახადს ხარჯმდუ განგრზობით ზერციებიდნ		-505430	-592172
მოგების გადსახადს ხარჯი		0	0
საანგარიშგებოპერიოდს მოგება / ზრლ		-505430	-592172
სხვა სრულ შემსავალ / (ზრლ):			
ძირითად საშუალებების (მათშორს, ბიოლოგიური აქტვების) გადფსების რზერვი		0	0
სხვა (მათშორს წილ ეროზბლვი დ მეკავშირე საწარზობის ურავი ქნების გადფსების რზერვი დ დფენილგადსახდლანი პროგრმები)		0	0
სხვა სრულ შემსავალ / (ზრლ), სულ		0	0
მიღლანი სრულ შემსავალ / (ზრლ)		-505430	-592172
საკუთარი კაპიტლ საანგარიშგებო პერიოდს დაწყისში		4730300	4731070
ახალ აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტლს გაზრდ', კოოპერატვის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტლს გაზრდ')		0	0
განაწილება მესაკუთრებზე (მათ შორს დვიდნდ)		0	0
სხვა ცვლბები გაუნაწილბელ მოგებაში		0	0
კაპიტლს სხვა ცვლბები	12	424971	591402
საკუთარი კაპიტლ საანგარიშგებო პერიოდს ბოლს		4649841	4730300

დირექტორი:

კონსტანტინე

ქორქია _____

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა:

ფულად სახსრების მოძრაობა	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	13	-307514	-404944
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	13	379464	591402
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებულ) წმინდ ფულად ნაკადები	13	-139936	-106567
ფულად სახსრების შემოსვლ (გასვლ)		-67986	79891
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა დ მათეკვივალენტებზე	13	-6390	-16396
ფულად სახსრები დ მათეკვივალენტები საანგარიშგებოპერიოდს დასწყისში		79069	15574
ფულად სახსრები დ მათეკვივალენტები საანგარიშგებოპერიოდს ბოლს		4693	79069

დირექტორი:

კონსტანტინე ქორქია ----- //

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

კომპანიის აქტივებს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, ძირითადი საშუალებები და მარაგები.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
<i>ბანკი</i>	2477	73275
<i>სალარო</i>	2217	5794

2. სავაჭრო მოთხოვნები- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობაში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება მოთხოვნებიდან გამომდინარე

- ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას (დებიტორული დავალიანება), რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობა.
- უიმედო ვალის (საექვო მოთხოვნები) არსებობის შემთხვევაში აღიაროს ხარჯად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2023 წლის ბოლო მდგომარეობით ისევ შეადგენს **62471** ლარს.

3. ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება ბასს-16-ით „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად, თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი,

მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ძირითადი საშუალებები 2023 წლის ბოლოს შეადგენს 4600678 ლარს .

5. სავაჭრო ვალდებულება- მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს შპს-ს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების გადაყვანა ხდება ფუნქციონირებად ვალუტაში (ქართულ ლარში) ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით. ანუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავის მოვალეობები საქონლის მოწოდებას ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

კრედიტორული დავალიანების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს **14301** ლარს. სადაც უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები გადაფასებულია ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით.

6. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება.

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები) საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და სხვადასხვა რეზერვებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა **4833384 ლარს** , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს

(158312) ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში 227820 ლარს.
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **4,800,226** ლარს , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **(532,996)** ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში 499,838 ლარს.
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის **4,716,747** ლარს , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **(464,822)** ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში 381,343 ლარს.
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის **4,731,070** ლარს , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **(374,895)** ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში **389,218** ლარს.
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის **4,730,300** ლარს , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **(592,172)** ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში **591,402** ლარს.
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის **4,469,841** ლარს , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **(505430)** ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში **424971** ლარს.

7. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან - კომპანიის შემოსავალი მომსახურების ჭრილში მოიცავს ძირითადად საიჯარო მომსახურებას, სხვა დანარჩენი ფიზიკური პირებისგან მიღებულ საცალოდ შეძენილ სამუზეუმო მომსახურების თანხას. თანხა მოცემულია დამატებითი ღირებულების გარეშე.

		2023
ნეტო ამონაგები		
მომსახურების გაწევიდან	7	298006

8. დასაქმებულთა ანაზღაურება- შრომის ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულებზე გაცემულ თანხას ხელფასის სახით საშემოსავლოს ჩათვლით.

		2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	-432067

9. ცვეთა და ამორტიზაცია- ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დასარიცხად კომპანია იყენებს შემდეგ წლიურ განაკვეთებს :

1. შენობა ნაგებობები -1%
 2. საოფისე აღჭურვილობა- 20%
 3. ავეჯი და სხვა ინვენტარი -20 %
 4. სატრანსპორტო საშუალებები - 20%
 5. სხვა ძირითადი საშუალებები- 20%
- დაგროვებული ცვეთის ხარჯმა 2023 წელს შეადგინა -62409 ლარი.

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი- მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელა მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები აღიარდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

		2023
--	--	-------------

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი.	10	-302570
---	----	----------------

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯია:

კომუნალური ხარჯი - 156868
 კომუნიკაციის ხარჯი - 6517
 ბანკის ხარჯი -368
 ქონების გადასახადი - 41026
 სოციალური დანარიცხი - 5358
 სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი- 12160
 საკონსულტაციო ხარჯი- 6695
 სხვა მიმდინარე ხარჯი - 73578

ჯამში 2023 წელს გაწეული ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი შეადგენს **302570** ლარს.

11. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან: ვალუტის გადაფასების შედეგად მიღებულმა კურსთაშორის სხვაობის ხარჯმა 2023 წელში შეადგინა - 6390 ლარი.

12. კაპიტალის სხვა ცვლილებები- მიმდინარე წლის მოგება-ზარალს დამატებული დამფუძნებლის მიერ კაპიტალის შესავსებად შემოტანილ და გატანილ თანხებს შორის

სხვაობა, წლის განმავლობაში.

2023 წლის კაპიტალის ცვლილება შედგება დამფუძნებლის შენატანებისაგან კაპიტალში ,
რაც შეადგენს **505430** ლარს.

13. ფინანსური ნაკადების ანგარიშგება :

•საოპერაციო საქმიანობები მოიცავს მოგების მომტან საოპერაციო საქმიანობებს. ამ ციფრის გამოთვლა შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით.

მოიცავს:

1. საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებულ ფულად სახსრებს;
2. სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულად სახსრებს;
3. საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილ ფულად სახსრებს;
4. თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილ ფულად სახსრებს;
- 5.კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებულ და გადახდილ ფულად სახსრებს.

წმიდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **(307514)** ლარს.

•ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მოიცავს გრძელვადიან აქტივებზე დახარჯულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს და ინვესტიციიდან მიღებულ მოგებას.

წმიდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **379464** ლარს, დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში.

•ფულადი სახსრების საფინანსო ნაკადები მოიცავს:

1. აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულადსახსრებს,
- 2.გრძელვადიანი სესხების აღებას და დაფარვას.
3. სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები
- 4 . ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრებისგან.

წმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **(139936)** ლარს, რაც არის ბიუჯეტში გადახდილი თანხა.

• ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე- ვალუტის გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრები 2023 წელს შეადგენს **(6390)** ლარს.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 წლის ბოლოს შეადგენს 79069 ლარს.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის ბოლოს შეადგენს 4693 ლარს.

დირექტორი:

კონსტანტინე ქორქია ----- //

თარიღი: 25/07/2024

379464 ლარს,
დამფუძვნებლის შენატანი კაპიტალში.

• ფულადი სახსრების საფინანსო ნაკადები მოიცავს:

1. აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულადსახსრებს,
2. გრძელვადიანი სესხების აღებას და დაფარვას.
3. სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები
4. ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრებისგან.

ნმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან 2023 წელს შეადგენს **(139936)** ლარს, რაც არის ბიუჯეტში გადახდილი თანხა.

• ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე-
ვალუტის გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრები 2023 წელს შეადგენს
(6390) ლარს.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 წლის ბოლოს შეადგენს 79069
ლარს.

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის ბოლოს შეადგენს 4693
ლარს.

დირექტორი:

კონსტანტინე ქორქია
თარიღი: 25/07/2024

